ოქმი:ო63. 6323304001
თარიღი:31/10/2023

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს სხდომის

ო ქ მ ი N5

ქ.სამტრედია 27 ოქტომბერი. 2023 წელი.

მიმდინარე წლის 27 ოქტომბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს თავმჯდომარის, ტარიელ დვალიშვილის თავმჯდომარეობით, ჩატარდა ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ტარიელ დვალიშვილი , ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, მანანა სირბილაძე, გოჩა არველაძე, ლიზა კრავეიშვილი, ირაკლი მელაშვილი,ჯონი ახობაძე, მაია ტალაბაძე, ტარიელ ცომაია,ბადრი შენგელია, გრიგოლ ჩიგოგიძე , დავით ჯანელიძე, გიორგი ლეჟავა, ილია მჯავია, ჯონი თევზაძე, გიორგი გაგუა.

დღის წესრიგი:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით გასათვალისწინებელი, სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ.

   /მომხსენებელი: ტარიელ დვალიშვილი/

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში, სოციალურ პროგრამაში გასათვალისწინებელი, უსახლკარო ან ავარიულ სახლებში მცხოვრები პირებისთვის საცხოვრებელი პირობების მოგვარების შესახებ.

   /მომხსენებელი: ტარიელ დვალიშვილი/

3. სხვადასხვა

ფრაქციის თავმჯდომარის წინადადებით, ფრაქციის წევრებმა (18 ხმით) კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს წევრთა (18 ხმით), დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ დვალიშვილმა ფრაქციის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით გასათვალისწინებელი, სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ. კერძოდ, ეთხოვოს მუნიციპალიტეტს მერს, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს ქალაქის შემოსასვლელისა და ცენტრალური ნაწილის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ტარიელ დვალიშვილი - კერძოდ,

1. საავტომობილო ხიდის რეაბილიტაცია.
2. თამარ მეფის ქუჩაზე, რკინიგზის სადგურის წინ მდებარე, ნიკო ნიკოლაძის სახელობის მოედნის მოწყობა.
3. ჭავჭავაძის ქუჩაზე საავტომობილო მოძრაობის მოწესრიგება.
4. ქალაქის ცენტრალურ უბანში მრავალსართულიანი ბინების ფასადების მოწესრიგება.
5. მომავლის პარკის რეაბილიტაცია.
6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინ მდებარე სკვერის რეაბილიტაცია.

ფრაქციის წევრებმა დააფიქსირეს მოსაზრება.

დავით ჯანელიძე - ვეთანხმები ზემოაღნიშნულს და სხდომაზე მინდა გავაჟღერო პრობლემა, რომლის თაობაზეც არაერთხელ მომმართა აღმაშენებლის ქუჩის და მიმდებარე ჩიხების მცხოვრებლებმა.

მოგეხსენებათ, ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე მდებარეობს 2 სკოლა, 2 ბაღი და უსაფრთხოების მიზნით აუცილებელია, რომ აღმაშენებლის ქუჩაზე დამონტაჟდეს სიჩქარის შემზღუდველი ბარიერი.

ვაჟა სტურუა - ამ საკითხთან დაკავშირებით წერილობით მივმართოთ საავტომობილო გზების დეპარტამენტს.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს წევრები (18 ხმით) მხარს უჭერს ზემოაღნიშნულს.

<u>დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ დვალიშვილმა ფრაქციის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში, სოციალურ პროგრამაში გასათვალისწინებელი, უსახლკარო ან ავარიულ სახლებში მცხოვრები პირებისთვის საცხოვრებელი პირობების მოგვარების შესახებ. ეთხოვოს მუნიციპალიტეტის მერს საცხოვრებელი სახლები აუშენოს უსახლკარო ან ავარიულ სახლებში მცხოვრებ იმ პირებს, ვისაც საკუთრებაში გააჩნია საკარმიდამო მიწის ნაკვეთი და არაერთხელ მიმართა მუნიციპალიტეტის მერიას საცხოვრებელი პირობების

მოგვარების მიზნით. სასურველია 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯებით მოხდეს არანაკლებ სამი ოჯახის დაკმაყოფილება.

ფრაქციის წევრებმა იმსჯელეს და

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს წევრები (18 ხმით) მხარს უჭერს ზემოაღნიშნულს.

სხდომის მდივანი: / ნათია დოლიძე/

ტარიელ დვალიშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ფრაქცია ,,ქართული ოცნება”-ფრაქცია ,,ქართული ოცნება”-ს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი